603/2 №6166

# გაუმარჯოს 1 მაისს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-13 წელი

№ 53 (1067) | ოთხშაბათი, 1 მაისი, 1957 წ. | ფასი 30 კაპ.



## შრომისა და მშვიდობის ზეიმი

დღეს გმირი საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები ზეიმობენ მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს — 1 მაისს.

დღეს მილიონობით დემონსტრანტი გამოვა ქუჩებსა და მოედნებზე, რომ უფრო მაღლა აღმართოს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა, მშვიდობისათვის, ხალხთა შორის თანამშრომლობისა და მეგობრობისათვის ბრძოლის დროშა.

საბჭოთა ხალხი ამ დიად დღესასწაულს აღნიშნავს კომუნისტური საზოგადოებისათვის ბრძოლის ლოზუნგით, მძლავრი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში. „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების სახალხო განხილვა, რაც მშრომელთა მძლავრი აქტივობით მიმდინარეობს, ცხადად მოწმობს რა დაუშრეტელია კომუნიზმის მშენებელი ხალხის შემოქმედებითი ძალები, რა ურღვევი და მონოლითურია პარტიის კავშირი მასებთან, მოწმობს საბჭოთა დემოკრატიის უდიდეს ცხოველმყოფელობას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით აღფრთოვანებული ჩვენი ქვეყნის მშრომელები მტკიცე რწმენით მიდიან წინ კომუნიზმისაკენ და უდიდეს წარმატებებს აღწევენ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. თავის საპირველმაისო მოწოდებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს საბჭოთა მშრომელებს გააჩაღონ საყოველთაო-სახალხო ბრძოლა პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, კომუნიზმისათვის მძლავრი, ყოველმხრივ განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. საბჭოთა ხალხი ძალებს არ იშურებს ამ გიგანტური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლაში, რადგან ღრმად არის დარწმუნებული, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობის უმაღლესი კანონი არის ზრუნვა ხალხის კეთილდღეობაზე.

საპირველმაისო დღესასწაულზე სამშობლოს ახალ მიღწევებს უპატაკებენ საბჭოთა სპორტსმენები და ფიზკულტურელები. სპორტი ჩვენს ქვეყანაში გადაიქცა სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდძალ თანხებს ხარჯავენ სპორტული ბაზების ქსელის გასაფართოებლად, მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის მისაღწევად. ამ მზრუნველობის მკაფიო გამოხატულება იყო საბჭოთა კავშირის ხალხთა 1956 წლის სპარტაკიადა — მსოფლიოში მანამდე არნახული სპორტული დღესასწაული.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სპორტს განიხილავენ არა მარტო, როგორც მშრომელთა კომუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანეს საშუალებას, არამედ როგორც მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების, ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების მძლავრ ფაქტორსაც. ყველა შეჯიბრება, რომლებშიც საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობენ, ტარდება მაღალი სპორტული მაჩვენებლებისათვის, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების ბრძოლის ნიშნით. ასე იყო მელბურნშიც. XVI ოლიმპიური თამაშები საბჭოთა სპორტის ტრიუმფი იყო, რომელმაც ცხადად აჩვენა მსოფლიოს რა სიყვარულით სარგებლობენ სპორტსმენები ჩვენს ქვეყანაში.

საბჭოთა სპორტსმენები მზად არიან ახალი მიღწევებით, ახალი მსოფლიო რეკორდებით უპასუხონ ამ სიყვარულს. გამოეხმაურნენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის მზადების შესახებ, საბჭოთა ფიზკულტურელები და სპორტსმენები აქტიურად ჩაებნენ ამ დიადი თარიღის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რაც მძლავრ სტიმულს მისცემს სპორტის შემდგომ განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. საქართველოში ამ ძვირფასი თაოსნობის პიონერები არიან სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის, ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროს კოლმეურნეობის ფიზკულტურელები. ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სოციალისტური შეჯიბრების ტალღამ მოიცვას ყოველი ფიზკულტურელი, ყოველი სპორტსმენი.

სამაისო დღესასწაულზე საბჭოთა ფიზკულტურელები მხურვალე სალამსა და გულითად სურვილებს უგზავნიან ყველა ქვეყნის სპორტსმენებს, რომლებიც აქტიურად იბრძვიან მაღალი სპორტული მიღწევებისათვის, პროგრესისათვის, მშრომელთა თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის.

ძლევამოსილი საბჭოთა სახელმწიფო შემოქმედებითი ძალებისა და ენერგიის უმძლავრესი აყვავების ვითარებაში ეგებება 1 მაისს და ჩაუქრობელი ჩირაღდანივით უნათებს გზას კაცობრიობას მშვიდობისაკენ, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ.

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს!

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

## მსოფლიო რეკორდი დამყარებულ იქნა თელავში

თელავში საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება ჩვენი ქვეყნის პარაშუტისტთა ნაკრები გუნდი, რომელიც ემზადება მსოფლიოს მომავალი პირველობისათვის.

ამას წინათ დოსააფის სპორტსმენ ქალთა გუნდმა სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. სელივესტროვას, სპორტის ოსტატების გ. მუხინასა და ნ. პრიახინას შემადგენლობით 1.500 მეტრი სიმაღლიდან ერთდროულ ჯგუფურ კომბინირებულ ხტომაში აჩვენა ზუსტი ხტომის სარეკორდო შედეგი. სამი ნახტომის შემდეგ საშუალო გადახრა ცენტრიდან უდრის 7,07 მეტრს. ეს მიღწევა აღემატება ვაჟთა მსოფლიო რეკორდსაც, რომელიც გასულ წელს დაამყარეს ბულგარელმა პარაშუტისტებმა.

## ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავის შესახვედრად

## გამოწვევის პასუხად

ჩვენს გაზეთში ამას წინათ გამოქვეყნდა გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის საერთო კრების დადგენილება საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროს მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურელთა გამოწვევის შესახებ.

ცხრაწყაროელებმა გამოწვევა მიიღეს და რედაქციას შემდეგი აცნობეს:

„ზესტაფონის რაიონის სოფელ ცხრაწყაროს მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის საერთო კრების მონაწილეებმა განვიხილეთ გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურელთა მიმართვა და ერთსულოვნად მივიღეთ გამოწვევა. ცხრაწყაროელი ფიზკულტურელები, ვებმებით რა წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, გამოწვევის პასუხად ვიღებთ შემდეგ ვალდებულებას:

1. ფიზკულტურელების რაოდენობას გავზრდით 25 პროცენტით. 2. შევქმნით ახალ სპორტულ ჯგუფებს ფრენბურთში, მძლეოსნობასა და ჭადრაკში. 3. ჩამოვაყალიბებთ ტყვიით მსროლელთა სექციას, მიმდინარე წელს მონაწილეობას მივიღებთ „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობაზე ფეხბურთში, ხოლო 1958 წლიდან საქართველოს პირველობაზე III ჯგუფში. 4. შეფად ავიყვანთ სოფელ კვალითის საშუალო სკოლის ფიზკულტურულ კოლექტივს, აღმოვუჩენთ საჭირო დახმარებას ბაზების მოწყობასა და ინვენტარის შეძენაში 5. გადაჭარბებით შევასრულებთ თანრიგოსნებისა და ნიშნოსნების მომზადების გეგმებს, ამ მიზნით მათ 1-ლ საფეხურზე ნაცვლად 10-ისა მოვამზადებთ 25-ს, მეორე საფეხურზე ნაცვლად 4-სა 12-ს, ნაცვლად 10 მესამეთანრიგოსნისა მოვამზადებთ 20-ს. 6. სანიმუშოდ მოვაწყობთ ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნებს, საჭიდაო სარბიელს. 7. ფიზკულტურელთა ძალებით დავამუშავებთ 6 ჰექტარ სიმინდის ფართობს“.

კოლმეურნე ფიზკულტურელთა სახელით:

**მ. თურმანიძე,** კოლმეურნეობის თავმჯდომარე;

**გ. ჭილლაშვილი,** კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი;

**პ. შალამბერიძე,** ძირეული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე

ცხრაწყაროელმა ფიზკულტურელებმა თავის მხრივ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ზესტაფონის რაიონის საკოლმეურნეო ფიზკულტურული კოლექტივები და მოუწოდეს მათ შრომასა და სპორტში მაღალი მაჩვენებლებით შეხვდნენ დიად დღესასწაულს.





ეს გაზაფხული ზეიმობს
თუ სიჭაბუკეს სამყარო,
ბედნიერება გვიღიმის,
ზეცა დაგვნათის სადარო.

მოვდივართ გულანთებულნი,
მილიონებზე მეტი ვართ,
ჩვენი სალამი მშვიდობის,
ძმობის, სიცოცხლის
ფესტივალს.

ბიბლიოთეკა

## ასე ჩატარდება

### საუბარი საქართველოს ახალგაზრდობის ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. თ. ბ. ჯანელიძესთან

★

ახლოვდება ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის შესანიშნავი ზეიმის — ფესტივალის დღეები. 29-30 ივნისს თბილისში შეიკრიბებიან რესპუბლიკის ყველა კუთხის წარმომადგენლები — 6.000-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი.

ფესტივალის მხატვრული ნაწილი შეიცავს მრავალრიცხოვან კონკურსებს, ინდივიდუალურ შემსრულებელთა და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების გამოსვლებს, მასობრივ ზეიმებს. მაგალითად, რუსთაველის პროსპექტზე მოეწყობა ბავშვთა ზეიმი, რომელშიც 1.000-1.500 სკოლამდელი და პიონერული ასაკის ბავშვი მიიღებს მონაწილეობას. პიონერთა სასახლის სარკეებიან დარბაზში ჩატარდება გოგონათა ზეიმი, მოეწყობა „ყვავილების ზეიმი“, გაიმართება შეხვედრები წარმოების ნოვატორებთან, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებთან, ძველ რევოლუციონერებთან ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ადამიანებთან.

მრავალფეროვანი და შინაარსიანი იქნება ფესტივალის სპორტული ნაწილი — ახალგაზრდობის რესპუბლიკური სპორტული თამაშები.

საქართველოს ახალგაზრდობის I სპორტულ თამაშებში, რომელიც ჩატარდება მძლეოსნობაში, კალათბურთში, ფრენბურთში, ცურვაში, ქართულ ჭიდაობაში, ცხენოსნობასა (ნაციონალური სახეობები) და ტყვიით სროლაში, რესპუბლიკის 1.000-მდე უძლიერესი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. როგორია სპორტული თამაშების თვითეული სახის პროგრამა და ვის აქვს მინიჭებული უფლება დაიცვას თავისი ორგანიზაციის სახელი უძლიერესთა ასპარეზობაში?

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად, სპორტულ თამაშებში მონაწილეობს ახალგაზრდები არა უმეტეს 30 წლისა. მძლეოსნობაში გათამაშდება პირადი პირველობა (ვაჟებისათვის 15 სახეობა, გოგონებისათვის 11 სახეობა ამანათრბენის ჩათვლით). ამანათრბენში წინასწარ დაშვებულია აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, ფოთის, გორის, რუსთავის, ჭიათურის ვაჟთა და ქალთა თითო გუნდი. დანარჩენ სახეობებში მოცემულია ნორმატივები, რომელთა წინასწარ შეჯიბრებებში (1956-1957 წლებში) შესრულების შედეგად რესპუბლიკის ყველა სპორტსმენი დაიშვება თამაშებზე.

ცალკეულ სახეობებში მონაწილეთა სიმრავლის შემთხვევაში ჩატარდება წინასწარი, ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები.

შინაარსიანი და მძაფრი სპორტული ჭიდილია მოსალოდნელი კალათბურთსა და ფრენბურთში. აქ მონაწილე გუნდები უკვე ცნობილია. ესენი არიან: აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, გორის, ფოთის, ვაჟთა და ქალთა, რუსთავის ვაჟთა და ჭიათურის ქალთა გუნდები. ფრენბურთში ვაჟთა და ქალთა ზემოაღნიშნული პირველი ექვსი გუნდის გარდა დაიშვებიან რუსთავის ვაჟთა და ქალთა, ფოთისა და ლაგოდეხის ქალთა გუნდები, რომლებიც დაიყოფიან ქვეჯგუფებად, შეჯიბრება ჩატარდება გამოთიშვის სისტემით. ფინალში მონაწილეობის უფლება მიენიჭება ქვეჯგუფებში გამარჯვებულ თითო გუნდს.

ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრება პირად-გუნდურია. მონაწილეობენ: აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის, ქალაქების ქუთაისის და გორის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, ახმეტის, გარეუბნის, კასპის, სამტრედიისა და წითელწყაროს რაიონების გუნდები.

ცურვაში შეჯიბრება მოეწყობა ვაჟებისა და გოგონებისათვის ცურვის ყველა კლასიკურ სახეობაში. გათამაშებაში დაიშვებიან სპორტსმენები, რომელთაც აქვთ არა ნაკლებ მეორე სპორტული თანრიგი.

ჩვენი დედაქალაქის ათასობით მაყურებელი შინაარსიანი ასპარეზობის მოწმე იქნება დელისის იპოდრომზე, სადაც მოეწყობა ცხენოსანთა შეჯიბრება ნაციონალურ სახეებში (ცხენბურთი, ისინდი, დოღი, მარულა, ყაბახი, ხევსურული დოღი). ცხენოსანთა შეჯიბრებანი კიდევ უფრო იმითაა საინტერესო, რომ უძლიერესთაგან დაკომპლექტებული გუნდი მონაწილეობას მიიღებს ახალგაზრდობის VI მსოფლიო ფესტივალის საჩვენებელ გამოსვლებში, რომელიც მოსკოვში გაიმართება ივლის-აგვისტოში.

გარდა ზემოჩამოთვლილი სახეობებისა, ფესტივალის დღეებში მოეწყობა თბილისის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა, ველოსიპედისტთა, ძალოსანთა და მოკრივეთა ასპარეზობანი.

საინტერესო იქნება რესპუბლიკის ახალგაზრდობის ფესტივალის გახსნა და დახურვა. „ბურევესტნიკის“ ახალი სტადიონის მწვანე მინდორზე ფესტივალის გახსნის დღეს თავის ოსტატობას უჩვენებენ ფიზკულტურის ინსტიტუტის 400 სტუდენტი და დედაქალაქის მოსწავლეთა 4.500-იანი კოლონა, ფესტივალის გახსნისას სტადიონზე შემოვლენ კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური ესტაფეტის უკანასკნელი ეტაპის მონაწილენი, რათა საორგანიზაციო კომიტეტს ჩააბარონ პატაკი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ფესტივალების ჩატარების შესახებ. ამავე დღეს მოეწყობა რესპუბლიკის უძლიერეს ცხენოსანთა (კლასიკურ სახეებში) და ლელობურთელთა საჩვენებელი გამოსვლები. ფესტივალის დახურვა მოეწყობა „დინამოს“ სტადიონზე. მძლეოსნობასა და ქართულ ჭიდაობაში ფინალური შეხვედრების გარდა, აქ დამთავრდება ფესტივალისადმი მიძღვნილი მრავალდღიანი მოტოგადარბენა, რომელსაც დედაქალაქის ორგანიზაციები აწყობენ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში.

რესპუბლიკის ახალგაზრდობის ფესტივალს გასულ და მიმდინარე წელს მრავალი მასობრივი სპორტული ღონისძიება მიეძღვნა. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისელი ახალგაზრდების მასობრივი ალპინიადა ყაზბეგის რაიონში, რომელიც 4.000 მეტრი სიმაღლის უსახელო მწვერვალის ალებით დამთავრდა და რომელსაც „საქართველოს ახალგაზრდობის ფესტივალი“ ეწოდა. ახალგაზრდობის მძლეოსნური რესპუბლიკური კროსი, რომელშიც 51 ათასამდე კაცმა მიიღო მონაწილეობა და სხვ. მოეწყობა ახალგაზრდობის მსოფლიო და რესპუბლიკური ფესტივალებისადმი მიძღვნილი მძლეოსნური კროსები, მასობრივი ალპინიადები და ა. შ.

რესპუბლიკის ახალგაზრდობის I სპორტულ თამაშებში გამარჯვებულთათვის დაწესებულია ჯილდოები მძლეოსნობაში, ცურვაში, სროლაში, ქართულ ჭიდაობასა და ცხენოსნობის ცალკეულ სახეობებში გამარჯვებულებს გადაეცემათ სპორტული თამაშების ჩემპიონის სამკერდე ნიშანი და სიგელები. კალათბურთში, ფრენბურთში, ქართულ ჭიდაობაში, ცხენოსნობაში გამარჯვებულ გუნდებს გადაეცემათ გარდამავალი თასები, ხოლო გუნდის წევრები დაჯილდოვდებიან სპორტული თამაშების ჩემპიონის სამკერდე ნიშნით და სიგელებით; პირად და გუნდურ პირველობებში გამარჯვებულებს მიენიჭებათ საქართველოს ახალგაზრდობის პირველი სპორტული თამაშების ჩემპიონის სახელი. შესაბამისი სიგელებით დაჯილდოვდებიან ცალკეული სპორტსმენები და გუნდები, რომლებიც დაიკავებენ მეორე და მესამე ადგილებს. დაწესებულია ჯილდოები მწვრთნელებისათვისაც.

სპორტსმენები, რომლებიც თამაშებზე უჩვენებენ სპორტის ოსტატის ნორმას, აგრეთვე დაამყარებენ რესპუბლიკურ და საკავშირო რეკორდებს, დაჯილდოვდებიან სიგელებით, ფასიანი საჩუქრებით და მათი სახელები შეიტანება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში.

ახლოვდება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალი და სტუდენტთა III საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშები. მზადება ახალგაზრდობის ამ დიდ დღესასწაულში მონაწილეობისათვის მსოფლიოს ყოველ კუთხეში მიმდინარეობს. წარმატებით ემზადება ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობაც — ხელოვნების მუშაკები, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, სპორტსმენები.

## ჩვენი ფესტივალი

---

## ფესტივალის ქრონიკა

**წყალტუბოში** მოეწყო ფესტივალისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა რაიონის საშუალო სკოლების ექვსი გუნდი. ყველა შეხვედრა მოიგეს და პირველი ადგილი დაიკავეს ქალაქის ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

**გ. კიკვაძე**

• • •

**ფშავლის** (თელავის რაიონი) საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით მოეწყო ფესტივალისადმი მიძღვნილი ველოგადარბენა მარშრუტით: სოფელი ფშაველი-ლალისყური-ქვემოალვანი-ზემოალვანი-ახმეტა-ქისტაური-იყალთო-რუისპირი-ვარდისუბანი-თელავი-კურდღელაური-შაქრიანის ხიდი და სხვ.

გადარბენის მონაწილეებმა შ. არჩემაშვილმა, დ. ალაიძემ, ს. ღულელაურმა, თ. ჰერიტიძემ და სხვებმა გაიარეს 90-კილომეტრიანი დისტანცია.

**ა. გიორგობიანი**

• • •

**ბაკურციხის** სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ფესტივალისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ფრენბურთში, კალათბურთში, ტყვიით სროლასა და მძლეოსნობაში. 5.000 მეტრზე რბენაში ვაჟებიდან ფინიშთან პირველი მივიდა კ. ბაწაშვილი.

200 მეტრზე რბენაში გოგონათა შორის გაიმარჯვა ნ. ბეჟაშვილმა, ვაჟებიდან — ს. ლუაშვილმა. მასვე დარჩა გამარჯვება სიგრძეზე ხტომაში. ქალებიდან პირველი იყო მ. ხუბულაშვილი.

ფრენბურთსა და კალათბურთში პირველი ადგილი დაიკავა ტექნიკუმის პირველმა ნაკრებმა გუნდმა. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში ქალთა შორის ყველას აჯობა მ. ხუბულაშვილმა.

**ი. ოდიშელიძე**

---

## იაპონური ვარიანტი

მოსკოვში III საერთაშორისო სპორტული თამაშების მოსამზადებელმა კომიტეტმა მიიღო წერილი იაპონიის კალათბურთის ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილის ს. იმატაკასაგან. იმატაკა წერილში აღწერს კალათბურთის იაპონურ ვარიანტს, რომლის მიხედვით კალათბურთელთა გუნდები ცხრა-ცხრა კაცის შემადგენლობით თამაშობენ, ამასთან მოედანი ჩვეულებრივზე უფრო დიდია. კერძოდ, მამაკაცებისათვის 22×22 მ, ქალებისათვის — 18×18 მ.

იმატაკა წერილის ბოლოში დასძენს, რომ იაპონელი ახალგაზრდები თამაშებში მონაწილეობას მიიღებენ და მოსამზადებელ კომიტეტს სთხოვს გაითვალისწინოს კალათბურთის იაპონური თავისებურებანი.

---

## შერჩევით შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის

ამას წინათ გამოცხადდა საკავშირო კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავს უძლიერეს სპორტსმენთა შერჩევას III თამაშებში მონაწილე საბჭოთა ნაკრებისათვის. კონკურსის პროგრამის ზოგიერთ სახეობაში დადგენილია ნორმატივები, რომელთა შემსრულებლებს უფლება მიეცემათ მონაწილეობა მიიღონ საკავშირო შერჩევით შეჯიბრებებში, რის შემდეგ შეიქმნება ახალგაზრდულ თამაშებში მონაწილე საბჭოთა ნაკრები:

### მძლეოსნობა

#### ვაჟები

რბენა 100 მ — 10,5; 200 მ — 21,2; 400 მ — 48,6; 800 მ—1.52,0; 1.500 მ—3.50,0; 5.000 მ—14.10.0; 10.000 მ — 29.50,0; 116 მ თარჯებით — 14,8; 400 მ თარჯებით — 53,0; 3.000 მ წინაღობებით—8.48,0.

**ხტომები:** სიგრძეზე—7 მ 30 სმ; სიმაღლეზე — 1 მ 97 სმ; სამხტომი — 15 მ 60 სმ; ხტომა ჭოკით — 4 მ 20 სმ.

**ტყორცნები:** ბადრო — 49 მ; შუბი — 70 მ; ურო — 58 მ; ბირთვის კვრა — 15 მ 80 სმ; სპორტული სიარული 20 კმ — 1:35.00; ათჭიდი — 6.300 ქულა.

#### ქალები

**რბენები** 100 მ. — 11,8; 200 მ — 25,2; 400 მ — 56,4; 800 მ — 2.11,0; 80 მ თარჯებით — 11,2; ხტომა სიმაღლეზე — 1 მ 58 სმ; ხტომა სიგრძეზე — 5 მ 90 სმ.

**ტყორცნები:** ბადრო — 47 მ; შუბი — 49 მ; ბირთვის კვრა — 15 მ 60 სმ; ხუთჭიდი — 3.900 ქულა.

### ტანვარჯიში

**ვაჟები** — მრავალჭიდში ნებისმიერი პროგრამით-54 ბალი; **ქალები** — მრავალჭიდში ნებისმიერი პროგრამით-36 ბალი; თავისუფალი ვარჯიში საგნებით-9 ბალი.

### ცურვა

**ვაჟები** — ნებისმიერი სტილით 100 მ-58,0; 200 მ.-2.11,0; 400 მ-4.42,0; 1.500 მ-19.00,0; 200 მ ბრასი-2.42,0; 200 მ ბატერფლაით-2.32,0; 200 მ ზურგზე-1.07,0;

**ქალები** — თავისუფალი სტილით 100 მ-1.08,0; 400 მ-5.24,0; 200 მ ბრასით-3.00,0; 100 მ ბატერფლაით-1.17,5; 100 მ ზურგზე-1.17,0;

### ძალოსნობა

**სამჭიდი.** მჩატე წონა—300 კგ; ქვემსუბუქი წონა — 320 კგ; მსუბუქი წონა — 345 კგ. ქვესაშუალო წონა — 380 კგ; საშუალო წონა — 400 კგ; ქვემძიმე წონა—420 კგ; მძიმე წონა — 435 კგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბურთის მოლოდინში.

ფოტოეტიუდი მ. ზარგარიანისა

# კორტებზე — უძლიერესნი

★

## ჩოგბურთელთა შეჯიბრება ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ჯილდოზე

★

29 აპრილს ფიზკულტურის ცენტრალური სახლის კორტებზე დიდძალი მაყურებელი შეიკრიბა. ამ დღის ...ეებს უნდა გამოერკვია ფინალისტები. დიდი ინტერესით მოელოდნენ სსრ კავშირის ჩემპიონის სპორტის ოსტატ ს. ანდრეევისა და თბილისელი პირველთანრიგოსნის ვ. ...სკის შეხვედრას. მაგრამ მაყურებელთა მოლოდინი არ გამართლდა. ...ისელმა ორჯერ მეტი შეცდომა ...ა, ვიდრე მისმა მოწინააღმდეგემ და 3 პარტიაში დამარცხება განიცადა — 6:2, 6:2, 6:1.

მოსკოველმა სპორტის ოსტატმა ...ა ფინალში თამაშის უფლება. უფრო საინტერესო გამოდგა მეორე ნახევარფინალური მატჩი უკრაინელ მ. მოზერსა და მოსკოველ ს. ფრიდლიანდს შორის.

აღსანიშნავია, რომ ეს ორი სპორტსმენი ამ შეჯიბრებაში მეორედ შეხვდა ერთმანეთს — წინასწარ თამაშში გამარჯვებული გამოვიდა ს. ფრიდლიანდი, თუმცა ეს დამარცხება არ უშლიდა მ. მოზერს ფინალურ ჯგუფში გასულიყო. ეს თამაში ...ც იყო საინტერესო, რომ ერთმანეთს ხვდებოდნენ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო სტილის სპორტსმენი — მ. მოზერი შეხვედრებს ატარებს მეტად აგრესიულად, გაბედულად თიდის ბადესთან, რითაც ... აღწევს წარმატებას, მოსკოველი კი ზედმეტად პასიური და ... ხანგრძლივი ბრძოლის მოყვარულია, მზადაა საათობით აგზავნოს საპასუხო ბურთი მოწინააღმდეგის მოედნისაკენ.

თამაში დაიწყო უკრაინელის შეტევით, რამაც ს. ფრიდლიანდიც გა[illegible]. მაგრამ წლების განმავლობაში „კარჩაკეტილმა" თამაშმა ამჯერადაც ... მასზე უარყოფითად იმოქმედა. პირველი პარტია უკრაინელის გამარჯვებით დამთავრდა — 6:4.

მომდევნო პარტიები გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მეორე პარტია ადვილად დათმო მ. მოზერმა — 2:6, ხოლო მესამე — მძიმე ბრძოლაში მოიგო — 7:5, მეოთხე პარტიაში გამარჯვებული გამოვიდა ფრიდლიანდი — 6:2.

გადამწყვეტ პარტიაში მოსკოველი ...მენი თამაშის ტემპში ვერ ... მოწინააღმდეგეს და არჩია შე...და დამარცხებას — 0:6.

ლენინგრადელი სპორტის ოსტატი ა. ბოიცოვი ამ დღეს შეხვდა რ. გროდნიცკის. აქ განსაკუთრებით საინტერესო იყო მეორე და მეოთხე პარტიები, რომლებიც ერთნაირი ანგარიშით (8:6) მოიგო ა. ბოიცოვმა. მხოლოდ ერთი პარტიის მოგება შეძლო ბაქოელმა ს. ლიხაჩოვმა თბილისელ ა. ვერულავასთან შეხვედრაში და დამარცხდა ანგარიშით 1:3. ვ. მირზამ ამ დღეს მოუგო გ. ღარიბაშვილს.

საინტერესო იყო გ. კაპანაძისა და ბაქოელი სპირიდონოვის შეხვედრა. ოთხსაათიანი ბრძოლის შემდეგ პარტიების ანგარიში იყო 2:2. გადამწყვეტი პარტიის ანგარიშიც ფრე იყო — 6:6. ეს შეხვედრა მეორე დღეს დამთავრდა, სადაც გამარჯვება მოიპოვა სპირიდონოვმა — 8:6.

მოეწყო ფინალური შეხვედრა შერეულ წყვილთა შორის. უკრაინელებმა ვ. კუზმენკომ და მ. მოზერმა ითამაშეს მოსკოველებთან ვ. პრეობრაჟენსკაიასთან და ს. ანდრეევთან. ამ შეხვედრაში აშკარა იყო უკრაინელი სპორტსმენთა უპირატესობა, რომელთაც მოიპოვეს პირველი ადგილი.

**ფ. ლეონიძე**

# ზონალური ტურნირი

დასასრულს უახლოვდება საბჭოთა კავშირის XXV საჭადრაკო ჩემპიონატის ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების ზონალური ტურნირი, რომელიც თბილისში რუსთაველის სახ. საკონცერტო დარბაზში მიმდინარეობს. დასკვნით ტურებში ბრძოლა ნახევარფინალში გასასვლელად (გადის პირველი სამი ადგილი) სულ უფრო შესამჩნევად მწვავდება. კონკურსში მონაწილეთა ძირითად ბირთვს დიდად გაუსწრეს გროსმაისტერმა ტაიმანოვმა და ოსტატმა არონინმა, რომლებიც შეჯიბრებაში კონკურსგარეშე მონაწილეობენ. სამეულში მოხვედრის რეალური შესაძლებლობა XVI და XVII ტურების წინ სულ ცოტა რვა მოჭადრაკეს ჰქონდა, მაგრამ ამ ტურებში მოხდა ნაწილობრივი ცვლილება.

XVI ტურში ლიდერებიდან დამარცხდნენ ქუხოვიცკი, მნაცაკანიანი და ჰალილბეილი. ერევნელმა კალაშიანმა ესპანურ პარტიაში გამოიყენა ბოტვინიკის თამაშის სისტემა. ქუხოვიცკიმ თუმცა მსოფლიო ჩემპიონის სმისლოვის საუკეთესო გაგრძელებას მიმართა, მაგრამ მაინც იერიშის ქვეშ მოჰყვა და დამარცხდა. დემურიამ შესანიშნავ სტილში აწარმოვა შეტევა მნაცაკანიანის მეფის ფრთაზე. ეტლის მოულოდნელი შეწირვით მან 35-ე სვლაზე აიძულა ერევნელი დანებებულიყო. ბლაგიძემ პაიკების გაშლილი ფრონტით შეუტია ლაზიერის ფრთაზე მყოფ ჰალილბეილის მეფეს. 34-ე სვლაზე აზერბაიჯანელი ოსტატი დამარცხებულ იქნა. ნახევარფინალში მოხვედრის შანსები გაიუარესა შიშოვმა, რომელმაც ბაილესთან უხეში შეცდომით ცაიტნოტში ლაზიერი დაჰკარგა.

ოსტატობის კანდიდატობის ნორმის შესრულებას მიუახლოვდნენ კიკიანი და გიტერმანი, რომლებმაც შეხვედრები სარდაროვაა და ტაიმანოვთან ყაიმით დაამთავრეს. ბაგიროვმა მოუგო ნაფტალინს, არონინმა — ბუსლაევს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

XVII ტურში ტაიმანოვმა, მოუგო რა ბაგიროვს, მას სამეულში მოხვედრის შანსები საბოლოოდ დააკარგვინა. დაძაბულად ვითარდებოდა ბუსლაევ-ქუხოვიცკის შეხვედრა, რომელიც მშვიდობიანი შედეგებით (ყაიმით) დამთავრდა.

კვლავ წინ წაიწიეს გიტერმანმა, რომელმაც მოუგო ლომაიას, და კიკიანმა, რომელიც მნაცაკანიანს მე-13 სვლაზე ყაიმზე შეუთანხმდა. ასეთივე შედეგით დასრულდა შიშოვ-სარდაროვის პარტიაც.

დიდი მონდომებით თამაშობდა დემურია სომხეთის ჩემპიონის მიასნიკოვის წინააღმდეგ. ამ პარტიის მოგების შემთხვევაში დემურიას ოსტატობის კანდიდატის ნორმის შესრულება შეეძლო. მაგრამ ცაიტნოტში წააგო პარტია. აბაკაროვმა მოუგო კალაშიანს, არონინმა — ნაფტალინს.

ბლაგიძემ ბაილეს წინააღმდეგ პერსპექტიული თამაში მიიღო. პარტია გადაიდო ბლაგიძის ოდნავი უპირატესობით. გადადებულია აგრეთვე სარქისიან-ჰალილბეილის პარტია.

XVII ტურის შემდეგ წინ არიან მ. ტაიმანოვი (15 ქულა), ლ. არონინი (13,5 ქულა), ქუხოვიცკი, მნაცაკანიანი (10 ქულა), ბლაგიძე (9,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია).

დღეს ტურნირზე გადადებული პარტიების დამთავრებაა. ხვალ, 2 მაისს, შედგება უკანასკნელი XIX ტური.

# დიდი ღონისძიების წინ

ამას წინათ სოჭში მოეწყო საბჭოთა კავშირის უძლიერეს მოჭიდავეთა საკონტროლო-შერჩევითი შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატის წინ. სამდღიანი ბრძოლების შემდეგ ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: უმჩატესი წონა — 1. ი. კარავაევი (მოსკოვი), 2. ზ. მჭედლიშვილი, (თბილისი), 3. გ. საიადოვი (კიევი). მჩატე წონა — 1. ვ. არსენიანი (თბილისი), 2. ი. ზამიატინი (ლენინგრადი), 3. ს. კაზაროვი (როსტოვი). ქვემსუბუქი — 1. ლ. სალიმულინი (კიევი), 2. ნ. მუშეღიანი (ერევანი), 3. დ. მირზოევი (ორჯონიკიძე). მსუბუქი წონა — 1. ვ. სინიავსკი (კიევი), 2. ა. ბესტაევი (მოსკოვი), 3. ა. გალუსტიანი (ბაქო). ქვესაშუალო წონა — 1. ვ. ბალავაძე (თბილისი), 2. გ. გობეჯიშვილი (ქუთაისი), 3. მ. ბეკმურზოვი (ორჯონიკიძე). საშუალო წონა — 1. გ. სხირტლაძე (თბილისი), 2. ლ. აქსიონოვი (მინსკი), 3. ბ. აბაევი (ორჯონიკიძე). ქვემძიმე წონა — 1. ა. ალბული (ლენინგრადი), 2. ბ. კულაევი (ორჯონიკიძე), 3. ნ. გურევიჩი (კიევი). მძიმე წონა — 1. ს. ძარასოვი (ორჯონიკიძე), 2. ი. ვიხრისტიუკი (კიევი), 3. ბ. პრუტკოვსკი (ლენინგრადი).

უმჩატეს წონაში ზ. მჭედლიშვილმა დაამარცხა სუფთად გ. საიადოვი, შემდეგ ი. ზაიაევი და ი. მამედბეკოვი. ფინალში მან დაუშვა ტაქტიკური შეცდომა და წააგო ი. კარავაევთან. მჩატე წონაში ვ. არსენიანმა ზედიზედ დაამარცხა სპორტის ოსტატები ზამიატინი, ავეტიანი და კაზაროვი. ქვესაშუალო წონაში პირველი ადგილის ბედს წყვეტდა ბალავაძისა და გობეჯიშვილის შეხვედრა. დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა ბალავაძემ. მსოფლიო ჩემპიონმა მანამდე დაამარცხა ბაქოელი დადაშევი და ბეკმურზოვი. ორივე ზემოჩამოთვლილი მოჭიდავე დაამარცხა აგრეთვე გობეჯიშვილმაც. პირველი მე-9 წუთზე, ხოლო მეორე — მე-12 წუთზე.

გოგი სხირტლაძემ ქულებით მოუგო აბაევს, სუფთად ესტონელ საარს და აქსიონოვს. ქვემძიმე წონაში ახალგაზრდა ალბულმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა ბ. კულაევზე.

გამგზავრების წინ კიდევ ერთი შერჩევითი შეჯიბრება ჩატარდება.

**დ. ციმაკურიძე,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

## გათამაშების ცხრილი

### „ბ" კლასი

მდგომარეობა 1 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოსკ (თბილისი) | 6 | 3 | 3 | 0 | 13:5 | 9 |
| „სპარტაკი" (ერევანი) | 4 | 4 | 0 | 0 | 14:2 | 8 |
| „ლოკომოტივი" (ქუთაისი) | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 8 |
| „სპარტაკი" (ფრუნზე) | 5 | 4 | 0 | 1 | 8:4 | 8 |
| ქ. მოლოტოვი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:3 | 7 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 5 | 2 | 3 | 0 | 10:4 | 7 |
| „კაირატი" (ალმა-ატა) | 5 | 3 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| „დინამო" (კიროვი) | 5 | 2 | 2 | 1 | 10:8 | 6 |
| „ზენიტი" (იჟევსკი) | 5 | 2 | 1 | 2 | 4:2 | 5 |
| „კოლხოზჩი" (აშხაბადი) | 5 | 2 | 0 | 3 | 5:9 | 4 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 5 | 0 | 2 | 3 | 3:6 | 2 |
| „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) | 4 | 0 | 2 | 2 | 1:7 | 2 |
| „ავანგარდი" (სვერდლოვსკი) | 4 | 0 | 1 | 3 | 5:10 | 1 |
| ოსკ (სვერდლოვსკი) | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |
| „უროჟაი" (სტალინაბადი) | 5 | 0 | 1 | 4 | 2:11 | 1 |
| „ნეფტიანიკი" (უფა) | 4 | 0 | 0 | 4 | 1:16 | 0 |

# სამი შეხვედრიდან ოთხი ქულა

კიევში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს წყალბურთელთა საკავშირო პირველობის მეორე წრე.

მოსკოვის „ტორპედოსთან" გამარჯვების შემდეგ ჩვენი დედაქალაქის დინამოელები შეხვდნენ სსრ კავშირის ჩემპიონს — მოსკოვის „დინამოს" წყალბურთელებს. როგორც ცნობილია, პირველ წრეში მოსკოველებმა გაიტანეს გადამწყვეტი ბურთი მაშინ, როცა თამაშის დამთავრებას 10 წამი აკლდა. ამჯერად ამ გუნდების შეხვედრა საინტერესო ბრძოლით აღინიშნა. მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთის კარში 2-2 ბურთი გაიტანეს და თითო ქულა ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში. ანგარიში არ გახსნილა მოსკოვის „ბურევესტნიკისა" და თბილისის „დინამოს" გუნდების შეხვედრის დროსაც. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

2:1 კიევის „ბურევესტნიკის" სასარგებლოდ. ასე დაამთავრა თბილისის „დინამომ" პირველი წრის მატჩი უკრაინის დედაქალაქის წყალბურთელებთან. მეორე წრეში დინამოელებმა აიღეს რევანში, საკუთარ აუზში დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 2:0.



სოჭა. თბილისის ფიზკულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელმა მ. აზატიანმა გამოიგონა ახალი ველოსიპედი უკუგადამცემით. ამ სიახლის წყალობით ველოსიპედისტს რბოლის დროს შეუძლია პედალების მიმართულების საწინააღმდეგოდ ბრუნვა, ისე, რომ წინმოძრაობის სიჩქარე არ შემცირდეს. დიდ ველორბოლებში, როდესაც სპორტსმენს ეღლება კუნთების ერთი ჯგუფი, უკუგადამცემი მას საშუალებას მისცემს მუშაობაში ჩააბას კუნთების სხვა ჯგუფი.

ს უ რ ა თ ზ ე: (მარცხნიდან): ველოსიპედისტი ა. კოლიბინი, მ. აზატიანი და სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. იპოლიტოვი ეცნობიან ახალ ველოსიპედს.

# დავნერგოთ საწარმოო ტანვარჯიში

# ვარჯიშისათვის მოეწყეთ!

### მეთოდისტი პირველ რიგში ორგანიზატორია

საწარმოში ტანვარჯიშის წარმატებით დანერგვის აუცილებელი პირობაა საზოგადოებრივი კადრების სწორი შერჩევა და განაწილება, ეს კარგად ჰქონდათ შეგნებული თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში, როცა მეთოდისტებს ლ. ფრანგიშვილსა და ა. კაპანაძეს საწარმოო ტანვარჯიშის დროულად დანერგვის საქმეში მხარში ამოუდგნენ კომისიის წევრები — ძირეული საბჭოს თავმჯდომარე ლ. ფხაკაძე, ფიზკულტურის ინსტრუქტორი ბ. კოვალიოვი, კომბინატის ექიმი ა. კაჭარავა, დირექტორის მოადგილე მთავარი ინჟინერი ი. ჭანიშვილი და სხვები.

24 ფიზორგი მეთოდისტების ხელმძღვანელობით მუშაობის დაწყებამდე სისტემატურად ატარებს გამამხნევებელ ვარჯიშებს კომბინატის ეზოში, ხოლო მექანიკურ საამქროში, სადაც საამისოდ ყველა პირობაა შექმნილი, რეგულარულად ტარდება ფიზკულტშესვენებებიც.

ახლა კომბინატში 3.200-მდე მუშა-მოსამსახურიდან დილის გამამხნევებელ ვარჯიშს მისდევს 60 პროცენტზე მეტი, მაგრამ ეს წარმატება აქ ერთბაშად როდი მოუპოვებიათ. ტანვარჯიშის დასანერგად კომბინატში ფართო მასშტაბის განმარტებითი მუშაობის ჩატარება მოუხდათ. დირექცია, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, იყენებდნენ რა აგიტაციისა და პროპაგანდის ყველა ფორმას, მუშა-მოსამსახურეებს გასაგებად განუმარტეს საწარმოო ტანვარჯიშის მიზანი და სარგებლობა.

### შტატის მოლოდინში

თითქოს ყველაფერი მზად იყო აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში. დანიშნეს მეთოდისტი, შექმნეს კომისია, შეისწავლეს შესაძლებლობანი, გამოყვეს და მოამზადეს ფიზორგები, მაგრამ ვარჯიშის მასობრივად ჩატარებას არაფერი ეშველა. საამქროებში საწარმოო ტანვარჯიშის დაწყების შესახებ დირექციამ დღემდე ვერ დაუშვა ბრძანება. ამას ისიც დაემატა, რომ მეთოდისტი გ. ჰუმბურიძე ავად გახდა. შემცვლელი კი ვერ გამოძებნეს. ცხადია, აქ არასათანადოდ აფასებენ საზოგადოებრივ კადრებს. მათ გარეშე მუშაობის წარმართვა კი არც ისე ადვილია.

მართლაც საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვის მხრივ ვერ დაიტრაბახებენ თამბაქოს 1-ლ და მე-2 ფაბრიკებში, ავტოშემკეთებელ ქარხანაში, მუსიკალურ კომბინატში და სხვა საწარმოებში. — რა ვქნათ, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ დღემდე არ მოგვცა მეთოდისტის შტატი, — გვითხრეს აქ. მოლოდინში გულხელდაკრეფილებმა მაუდქვეშ ამოსდეს საკავშირო პროფსაბჭოს გადაწყვეტილება საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვის შესახებ.

კარგი ტრადიციების მქონეა ავტოშემკეთებელი ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი. აქაური სპორტსმენები ახლაც წარმატებით გამოდიან ლენინის რაიონის ფესტივალის სპორტულ თამაშებში. ქარხანაში სიხარულით მიიღეს ცნობა საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვის შესახებ, ფიქრობდნენ: უმაღლესი ფიზკულტურული განათლების მქონე მეთოდისტი მთელ თავის ცოდნას მოახმარდა არა მარტო საწარმოო ტანვარჯიშს, არამედ ფიზკულტურელებს დაეხმარებოდა კოლექტივის შემდგომ განმტკიცებაშიც. მაგრამ მეთოდისტი დღემდე არ ჩანს, რადგან მის ადგილზე თავიანთი კანდიდატურები წამოაყენეს ქალაქკომის, რაიკომისა და პროფკავშირების ხელმძღვანელებმა. ქარხნის დირექციას კი არც ერთის წყენინება არ სურს.

პასუხისმგებელმა ორგანიზაციებმა მეტი მონდომება უნდა გამოიჩინონ და იბრძოლონ ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების დროულად და ხარისხიანად გატარებისათვის.

**ო. გელაშვილი**



ორი თვეა, რაც გ. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საამქროებსა და განყოფილებებში სამუშაოს დაწყებამდე და შესვენების დროს მიმდინარეობს საწარმოო ტანვარჯიში. მეთოდისტების გ. მებურიშვილისა და გ. გალუზოვის მიერ ქარხანაში შერჩეული და მომზადებულ იქნა 32 ფიზორგი, მათ შორის საწარმოო ტანვარჯიშის კარგი ორგანიზაციით გამოირჩევიან ფიზორგები ჯ. შენგელია, ზ. ქეიშვილი, გ. ლორთქიფანიძე, ლ. მიქაბერიძე, ა. მურღულია და სხვ.

• • •

სურათზე: ფიზწუთშესვენება საავტომობილო ქარხნის ერთ-ერთ საამქროში.

ფოტო და ტექსტი
ბ. მაღლაფერიძისა

## 4 მაისს დაიწყება მოჭადრაკე ქალთა რესპუბლიკური ჩემპიონატი

გასულ წელს ქართველმა მოჭადრაკეებმა ნ. გაფრინდაშვილმა, მ. ტოგონიძემ და ე. კაკაბაძემ წარმატებები მოიპოვეს საკავშირო პირველობის ნახევარფინალსა და ფინალში. თვალსაჩინო მიღწევებისათვის სამივე მოჭადრაკე შეყვანილ იქნა საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში.

ამ მოჭადრაკეების მონაწილეობით საქართველოს 1957 წლის პირველობა 4 მაისს თბილისში, რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში, დაიწყება.

რესპუბლიკის ჩემპიონატში კონკურსგარეშე მონაწილეობას მიიღებს სპორტის ოსტატი ს. როოტარე (ტალინი).



მოქანდაკე ი. ოქროპირიძის ნამუშევარი „ცხენი“.
ფოტორეპროდუქცია გ. თიკანაძისა

## საქმე ეხება 25.000 დოლარს

ხუთნიშნა რიცხვმა ბანკის ჩეკზე აიძულა 22 წლის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი ავსტრალიელი კენ როზევალი კრამერის სპორტულ კლუბში გადასულიყო. ამ სპორტულმა კლუბმა მას შესთავაზა 25.000 დოლარი, თუ კი მსოფლიო ჩემპიონს პროფესიონალ რანჩო გონსალესს რამდენიმეჯერ დაამარცხებდა. როზევალი უკვე ორჯერ შეხვდა გონსალესს. მეორე შეხვედრა მოეწყო ავსტრალიის ქალაქ აუკლანდში. კენის მიერ აქ მოპოვებულ გამარჯვებაში ნაწილობრივ 13.000 მაყურებლის ფანატიკურ შეძახილებსაც მიუძღოდა თავისებური წვლილი. როდესაც ახალგაზრდა კენმა გონსალესთან ანგარიში გაათანაბრა — 2:2, კენის გულშემატკივართა აღფრთოვანებულ შეძახილებს ბოლო არ უჩანდა. გონსალესის მიმართ კი მაყურებელი არნახულ სიძულვილს ამჟღავნებდა. ასეთი ანტიპათია გამოწვეული იყო იმით, რომ, როდესაც ცნობისმოყვარე ჟურნალისტები ეწვივნენ მას და ჰკითხეს რა აზრისა იყო კენთან მომავალ შეხვედრაზე, მან თავმომწონედ მიუგო: „როზევალი ჩემთვის მოწინააღმდეგეს არ ნიშნავს, მე მასთან დიდის სიამოვნებით ყოველ საღამოს ჩავატარებდი საწვრთნელ ვარჯიშებს“. ეს ავსტრალიელთა ნაციონალური სიამაყის შებღალვა იყო.

ამიტომ იყო, რომ შეჯიბრებისას მაყურებელთა რიგებიდან გონსალესის შეურაცხმყოფელ შეძახილებს ბოლო არ უჩანდა. ეს გარემოება მორალურად აიარაღებდა მსოფლიო ჩემპიონს და იგი აბობოქრებული მაყურებლის წინაშე იდგა ფერმიხდილი და განადგურებული. ბოლოს, როდესაც მან მოთმინება დაკარგა, ხელის მძლავრი მოქნევით ისროლა ჩოგანი მაყურებელთა რიგებში, სადაც ერთ-ერთმა ფანატიკოსმა დიდის სიამოვნებით დაამტვრია იგი. ეს თამაში როზევალმა მოიგო ანგარიშით 6:1 და კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა დანაპირებ 25.000 დოლარს.

## შოტლანდია გასული წლის რეკორდსმენია

გასულ წელს ჩატარებული ფეხბურთის შეხვედრებიდან ევროპაში ყველაზე მეტი მაყურებელი შეგროვდა გლაზგოს (შოტლანდია) სტადიონ „ხემპდენ პარკზე“ ინგლისის თასის ფინალის გათამაშების დროს. სტადიონის ტრიბუნებზე, რომლებიც 140 ათას მაყურებელზეა ნაანგარიშები, ამ დღეს იმყოფებოდა 132.817 მაყურებელი.

ინგლის-ბრაზილიის ნაკრები გუნდების შეხვედრას 98.400 მაყურებელი დაესწრო. 100 ათასზე მეტი მაყურებელი მიიზიდა შემდეგმა თამაშებმა: უნგრეთი-იუგოსლავია, უნგრეთი-ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი-შვეცია, პოლონეთი-გდრ, სსრკ-უნგრეთი.

მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე რამდენჯერმე მოგროვდა 100 ათასი მაყურებელი. მათ შორის ყველაზე მეტი დაესწრო საკავშირო სპარტაკიადის ფინალს (109.000), როდესაც ერთმანეთს ხვდებოდნენ მოსკოვისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

ფეხბურთი, როგორც ჩანს, ყველაზე ნაკლებად პოპულარულია სკანდინავიის ქვეყნებში. გასულ წელს ფინეთ-დანიის შეხვედრას დაესწრო 15 ათასი, ფინეთ-შვეციისას — 15.500, ფინეთ-ინგლისისას — 20 ათასი და ნორვეგია-პოლონეთისას — 22.500 მაყურებელი. ყველაზე დიდი აუდიტორია ფეხბურთს სამხრეთ ამერიკაში ჰყავს. ასე მაგალითად, ბრაზილიისა და იტალიის ნაკრები გუნდების შეხვედრას რიო დე ჟანეიროში „მარაკანოს“ სტადიონზე 200 ათასი მაყურებელი უყურებდა. 150 ათასი მაყურებელი ჰყავდა ბრაზილია-ურუგვაის შეხვედრას, ხოლო 30 ათასით ნაკლები არგენტინა-იტალიის და არგენტინა-ბრაზილიის შეხვედრებს.

## ექსპერტის შედეგები

ამას წინათ ჩვენ გამოვაქვეყნეთ წერილი, რომელშიც მოთხრობილი იყო ფრანგი ჟან ვინკენდონისა და ბელგიელი სტუდენტის ფ. ჰენრის ტრაგიკული სიკვდილის შესახებ მწვერვალ მონბლანზე. ამ ტრაგედიის შემდეგ თითქმის ნახევარმა წელმა განვლო.

უკანასკნელ დღეებში ერთ-ერთმა ფრანგულმა ექსპედიციამ აღმოაჩინა მონბლანის მისადგომებთან ჩამოვარდნილი ვერტმფრენის კაბინა და შეძლო ამ „ბრძოლის სასახლის“ გამოტანა მარადიული ყინულებიდან. ექსპერტმა დაადგინა, რომ ხელფეხის სრული მოყინულობის მიუხედავად ორივე ახალგაზრდას ბრძოლის საშინელ აგონიაში ამოხდომია სული. ვინკენდონისათვის სიკვდილს მიუსწრია ხელაღმართულ მდგომარეობაში, ჰენრი კი კაბინიდან სანახევროდ გადმოწოლილიყო. ცხადი იყო, რომ მას უნდოდა როგორმე გაეკვლია გზა და ეშველა თავისათვის. საექიმო დაკვირვებამ ცხადყო, რომ ჰენრი თავის მეგობარზე ერთი დღით გვიან მომკვდარა.

## იაპონური ჭიდაობა

იაპონურ ჭიდაობას ეროვნული ტრადიციები აქვს — იგი უძველესი დროიდან მოდის. ჭიდაობის წესები მარტივია: თუ მოჭიდავე ტერფის გარდა სხეულის სხვა ნაწილით შეეხება მიწას, დამარცხებულად ითვლება.

საუკუნეების განმავლობაში იაპონურმა ჭიდაობამ დიდი პოპულარობა მოიპოვა. მან განსაკუთრებულ აღმავლობას მე-9 საუკუნეში მიაღწია. მეტად უცნაური და ძლიერ საინტერესოა ერთი ფაქტი: მოკვდა თუ არა მაშინდელი მეფე, სახელმწიფო ტახტისათვის გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა. საქმე საბოლოოდ ასე გადაწყდა: ტახტის თვითეულ მოცილეს უნდა ეპოვნა თავისი ფალავანი და რომლის მოჭიდავე გაიმარჯვებდა, ის იღებდა მეფის გვირგვინს.

ამ დროიდან სისტემატურად ტარდებოდა შეჯიბრებები, მაგრამ ხალხი მასში მონაწილეობას მოკლებული იყო — შეჯიბრებები ეწყობოდა მეფის სასახლეში და სამეფო კარის გასართობს წარმოადგენდა.

1662 წელს ამ დროისათვის უძლეველმა მოჭიდავემ დიდის ვაივაგლახით მეფეს თანხმობა გამოსთხოვა სასახლის გარეთ შეჯიბრებების მოწყობაზე. ამ დროიდან იაპონური ჭიდაობა ნამდვილ სახალხო სპორტად იქცა. იქმნებოდა სპეციალური ჯგუფები, რომელთა წევრები დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ, ისინი ხიდზე გავლისას ფულს არ იხდიდნენ, ატარებდნენ განსაკუთრებულ სახელებს: „დიდი მთა“, „ბობოქარი მდინარე“, „ქარბუქი“ და სხვ.

ახლა იაპონიაში ყოველწლიურად ეწყობა შეჯიბრებები სპორტის ამ სახეობაში, რომლის ცერემონიას ჯერ კიდევ რელიგიური სახე აქვს. სპორტული სარბიელის ფორმა გამოხატავს ცის თაღის ფორმას, რომლის კუთხეებში ოთხი ფერის — წითელი, შავი, ნაცრისფერი და ლურჯი კოლონადები გამოხატავენ წელიწადის 4 დროს, სარბიელის შიგნით დაწყობილია ბრინჯის პატარა ტომრები, რომლებიც 12 თანავარსკვლავედის სიმბოლოს წარმოადგენს. სარბიელს ირგვლივ კეთდება ქაღალდის გირლანდები, რათა „დაიცვან“ მოჭიდავეები ბოროტი სულებისაგან.

**რედაქტორი ი. უგულავა.**

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 8-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 8-90-84, მორიგისა და გამომშვების — 8-38-25.

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ. № 14. უე 01820